შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხების გაშუქების გზამკვლევი

ავტორი: თეონა ცხომელიძე

თბილისი 2024

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხების გაშუქების გზამკვლევი, 2024

Guideline of Media Coverage of Persons with Disabilities, 2024

© ავტორი: თეონა ცხომელიძე, „მედიახმის“ აღმასრულებელი დირექტორი

სარედაქციო კოლეგია: მარიამ გერსამია, პროფესორი (თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი), „მედიახმის“ თავმჯდომარე, ლია ტაბატაძე (საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაციის თავმჯდომარე), ნინო კალანდია (საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია),

© ა(ა)იპ - მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი “მედიახმა”, 2024.

გზამკვლევი მომზადდა ევროპის ფონდის დაფინანსებით, პროექტის “სოლიდარობის ჟურნალისტიკა - ინკლუზიისთვის” ფარგლებში. მის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. პროექტი მხარდაჭერილია ინიციატივის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ კანონის განხორციელების ადვოკატირება“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის ევროპის ფონდთან და ჰადსონ ვოლის დამოუკიდებელი ცხოვრების ცენტრთან თანამშრომლობით.

პროექტის “სოლიდარობის ჟურნალისტიკა - ინკლუზიისთვის” პარტნიორები არიან: მედიის და კომუნიკაციის საგანმანათლებლო და კვლევითი ცენტრი “მედიახმა”, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის და ინტელექტუალური შეზღუდვის მქონე პირთა მშობლების ქსელი „კოალიცია მოძრაობა ცვლილებებისთვის“, საქართველოს დაუნის სინდრომის ასოციაცია.

სარჩევი

ავტორისგან 4

რატომ არის მედიის როლი მნიშვნელოვანი? 5

რა უნდა ვიცოდეთ შშმ პირთა საკითხების შესახებ? 6

შშმ პირთა მთავარი გამოწვევები 8

ტერმინოლოგია 10

როგორ ვიმუშაოთ უსინათლო და მცირემხედველ რესპონდენტთან? 13

როგორ ვიმუშაოთ ყრუ და სმენადაქვეითებულ რესპოდენტებთან? 15

როგორ ვიმუშაოთ დაუნის სინდრომის ან სხვა ინტელექტუალური შეზღუდული

შესაძლებლობის მქონე პირებთან? 17

ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება 18

კადრი და ხმა 21

„არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“ 22

შშმ პირები გასართობ გადაცემებში 23

შშმ პირი როგორც ქველმოქმედების ობიექტი 23

შშმ პირების ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე 24

რეკომენდაციები 25

თარიღები, რომელიც უნდა გვახსოვდეს 27

ავტორისგან

როგორც პრაქტიკოსი ჟურნალისტი, 20 წლის განმავლობაში, ბევრჯერ აღმოვჩენილვარ მდგომარეობაში, როცა უბრალოდ არ ვიცოდი როგორ უნდა გამეშუქებინა შშმ პირთა საკითხები, რომელი იყო სწორი ტერმინი, ქცევა და ა.შ. დამიშვია შეცდომები ან ამირიდებია თავი ასეთი მასალის მომზადებისთვის. სწორედ ამიტომ გაჩნდა სრულყოფილი გზამკვლევის შემნის იდეა. მადლობა საქართველოს შშმ პირთა ქსელის გამგეობას, საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიას, ყველა ორგანიზაციასა და ადამიანს, რომელთაც არ დაიშურეს დრო და ძალისხმევა, რომ ეს გზამკვლევი მომზადებულიყო. თავმოყრილი რჩევები ეყრდნობა საერთაშორისო პრაქტიკას, თემის მიერ გაზიარებულ მოსაზრებებსა და პირად გამოცდილებას.

მედიას მნიშვნელოვანი გავლენა აქვს საზოგადოების დამოკიდებულებებისა და აღქმების ჩამოყალიბებაზე. ამა თუ იმ საკითხის არასრულფასოვნად და არაეთიკურად გაშუქებამ, შესაძლოა, გააძლიეროს სტერეოტიპები, ხელი შეუწყოს მოწყვლადი ჯგუფების მარგინალიზაციასა და საზოგადოებისგან მათ კიდევ უფრო გარიყვას. ასევე, ხარისხიანი მედია-პროდუქტის შექმნით, შესაძლებელია ცნობიერების ამაღლება და სტერეოტიპების შემცირება.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვასა და ადვოკატირებაში მედიის როლი საკმაოდ დიდია. ბოლო წლებში, საქართველოში შშმ პირთა საკითხების გაშუქება გაუმჯობესდა. ჟურნალისტები ცდილობენ, სტანდარტები დაიცვან. თუმცა, გამოწვევები ჯერ კიდევ არსებობს. ამას ადასტურებს 2024 წელს „მედიახმის“ ჩატარებული მედია-მონიტორინგი და კვლევა.

ამ გზამკვლევის მიზანია მედიაორგანიზაციებისა და ჟურნალისტებისათვის შშმ პირთა საკითხების გაშუქებაზე პრაქტიკული რჩევებისა და საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება.

რატომ არის მედიის როლი მნიშვნელოვანი?

პასუხისმგებლობით მომზადებული ყოველი მასალა, შშმ პირთა ხილვადობის, ინკლუზიურობისა და სტერეოტიპების შემცირებისკენ გადადგმული თითო ნაბიჯია.

პრობლემებისა და გამოწვევების ჯეროვნად ასახვამ, შესაძლოა, დღის წესრიგში დააყენოს საკანონმდებლო ცვლილებები, გააუმჯობესოს სამედიცინო და სოციალურ მომსახურებებზე წვდომა, ხელმისაწვდომი გახადოს მკურნალობის დაფინანსება, ხელი შეუწყოს ხარისხიანი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობას, რაც საბოლოო ჯამში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ცხოვრებაში დადებით ცვლილებებს მოიტანს.

ამ პროცესში მნიშვნელოვანია, რომ მედია მენეჯერებმა და და ჟურნალისტებმა გააცნობიერონ საკუთარი როლი და პასუხისმგებლობა.

ის, თუ რა ტონით და ფორმით გაშუქდება საკითხი, პირდაპირ განსაზღვრავს საზოგადოების დამოკიდებულებას.

რა უნდა ვიცოდეთ შშმ პირთა საკითხების შესახებ?

გაეროს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის (2006) მიხედვით, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს მიეკუთვნებიან პირები ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული მყარი დარღვევებით, რომელთა ურთიერთქმედებამ სხვადასხვა დაბრკოლებასთან, შესაძლოა, ხელი შუშალოს ამ პირების სრულ და ეფექტუ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში, სხვებთან თანაბარ პირობებში[1].

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით (2023), მსოფლიოში ერთ მილიარდზე მეტი შშმ პირია[2]. როგორც გრაფიკული გამოსახულებაც (N1) აჩვენებს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოება მრავალფეროვანია და აერთიანებს სხვადასხვა ეროვნების, რასის, რელიგიის, სქესის, გენდერული იდენტობისა და სექსუალური ორიენტაციის ადამიანს.

გრაფიკა N1: შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოება, წყარო: მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (2023) (საბოლოო დოკუმენტში ცხრილი იქნება ქართლ ენაზე)



[1] United Nation Convention on the Rights of Persons with Disabilities, (2006), ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-persons-disabilities (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[2] World Health Organisations (2023), Key facts, ხელმისაწვდომია: (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

დამატებით წყაროებზე დაყრდნობით:

- შშმ პირის მდგომარეობა შეიძლება იყოს ხილული ან უხილავი[3];
- 60 წელს გადაცილებული მოსახლეობის 46% შშმ პირია[4];
- ყოველი მეათე ბავშვი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა[5];
- ყოველი მეხუთე ქალი შეზღუდული შესაძლებლობების მქონეა[6];
- შშმ პირთა 83% არ დაბადებულა ამ მდგომარეობით და მათ შეიძინეს ეს სტატუსი ცხოვრების განმავლობაში ავადმყოფობის, უბედური შემთხვევის ან სხვა მოვლენის გამო[7].

გვახსოვდეთ, რომ ნებისმიერი ადამიანი, ცხოვრების ნებისმიერ ეტაპზე, შეიძლება გახდეს შშმ პირი

საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა შესახებ მონაცემები შეზღუდული და ფრაგმენტულია. ჯანდაცვის სამინისტროს ცნობით, 2020 წლის ოქტომბერში შეზღუდულ შესაძლებლობასთან დაკავშირებული სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღებ პირად 127 132 ადამიანი დარეგისტრირდა[8]. 2023 წლის საქსტატის მონაცემებით კი საქართველოში სოციალური პაკეტის მიმღები შშმ პირების რაოდენობა 128 613 იყო (მოსახლოების დაახლოებით 3%). ეს სრულად არ მოიცავს 60 წელს გადაცილებულ ადამიანებს, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ასაკობრივი პენსიის მიღწევისას, შშმ პირები ირჩევენ ასაკობრივი პენსიის მიღებას, რადგან ის აღემატება სოციალურ პაკეტს. აგრეთვე, 70 წელს გადაცილებული ადამიანებისთვის განკუთვნილი ასაკობრივი პენსია აღემატება შშმ პირებისთვის განკუთვნილ ყველანაირ სოციალურ პაკეტს. ქვეყანაში ბევრად მეტი შშმ ქალია, ვიდრე კაცი. თუმცა, შშმ პირის ოფიციალური სტატუსი უფრო ნაკლებ ქალს აქვს. ეს პრაქტიკა სტერეოტიპებიდან მომდინარეობს, რომ შეზღუდული შესაძლებლობის გამჟღავნების შემთხვევაში ისინი ვერ დაქორწინდებიან[9]. არ არსებობს კონკრეტული სტატისტიკა შშმ პირთა შესახებ სქესის, ასაკობრივი ჯგუფების, შემოსავლებისა ან განათლების დონის მიხედვით.

---

[3] Guidelines INCLUSION OF PERSONS WITH DISABILITIES IN, (2019), ხელმისაწვდომია: https://interagencystandingcommittee.org/sites/default/files/migrated/2020-11/IASC%20Guidelines%20on%20the%20Inclusion%20of%20Persons%20with%20Disabilities%20in%20Humanitarian%20Action%2C%202019_0.pdf. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[4] იქვე

[5] იქვე

[6] World Bank Blogs (2023), ხელმისაწვდომია: https://blogs.worldbank.org/en/voices/reaching-women-disabilities-truly-inclusive-and-sustainable-development#:~:text=One%20in%20five%20women%E2%80%9420,prevent%20their%20socio%2Deconomic%20participation. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[7] Trustmedia, Reframing Disability, (2020), p. 6.

[8] ნილსენი მ., (2021), ვებ მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოში: არსებული მდგომარეობა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, გაეროს უნივერსიტეტი, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_dg_web-accessibility-for-pwds_current-situation_intl-practice-2021_geo.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[9] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში, თემატური მიმოხილვა, UN Georgia, ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2021/women%20with%20desabilities%20brief%20Geo.pdf. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

შშმ პირთა მთავარი გამოწვევები

შშმ პირები მთელს მსოფლიოში არაერთი გამოწვევის წინაშე დგანან. უამრავი სტერეოტიპისა და სტიგმის გამო, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი ჩართულობა იზღუდება.

ეიბლიზმი ესაა დისკრიმინაცია ტიპური განვითარების ადამიანების სასარგებლოდ და საზოგადოების წარმოსახვით იერარქიაში მათი უფრო მაღალ საფეხურზე დაყენება[10]. რასიზმის, სექსიზმისა და დისკრიმინაციის სხვა ფორმების მსგავსად, ეიბლიზმი მავნე სტერეოტიპებისა და მცდარი წარმოდგენების გამო ადამიანთა კლასიფიცირებას ახდენს.

სტერეოტიპები არის განზოგადებული აზრი, ადამიანის ჯგუფების გარკვეული პიროვნული თვისებების ან მახასიათებლების შესახებ, რომელიც ჩამოყალიბებულია შეზღუდული ან არასრული ინფორმაციის საფუძველზე[11].

კვლევების მიხედვით[12] შშმ პირების შესახებ ყველაზე გავრცელებული სტერეოტიპებია:

- შშმ პირი საბრალოა;
- შშმ პირებს სხვების დახმარების გარეშე ცხოვრება არ შეუძლიათ;
- შშმ ადამიანი სუპერგმირია და რომელიმე უნარი განსაკუთრებით აქვს განვითარებული;
- შშმ პირი ტვირთია ოჯახისთვის;
- შშმ პირები სექსუალურად არააქტიურები არიან;
- შეზღუდული შესაძლებლობა გადამდებია;
- შშმ პირები არიან აგრესიულები და საშიში საზოგადოებისთვის;
- შეზღუდული შესაძლებლობა ღმერთის სასჯელია;
- შშმ პირების ცხოვრება მძიმეა და მათ მუდმივი თანაგრძნობა სჭირდებათ.[13]

სტიგმა შეხედულებათა ნეგატიური და უსამართლო ნაკრებია, რომელიც საზოგადოებას ან ადამიანთა ჯგუფს აქვს რამე საკითხის შესახებ. ესაა დამამცირებელი ნიშანი, რომელიც ადამიანს რიყავს და ნეგატიური იარლიყი, რომელიც ცვლის ადამიანის მიერ საკუთარი თავის და მისი სოციალური იდენტობის გაგებას[14]. ამავე წყაროს მიხედვით, სტიგმა არის პირის ან ჯგუფის მახასიათებელი, რომელიც განხილულია როგორც ნაკლოვანება და ამცირებს ადამიანს. უარყოფითი დამოკიდებულებები ქმნის ცრურწმენებს, რომლებსაც უარყოფით მოქმედებებამდე და დისკრიმინაციამდე მივყავართ.

---

[10] Center for Disability Rights, Ableism, ხელმისაწვდომია: https://cdrnys.org/blog/uncategorized/ableism/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[11] მედიაწიგნიერების ჰაბი, ხელმისაწვდომია: https://mediatsigniereba.ge/teachers/mediatsigniereba-da-stereotipebi (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[12] არღანაშვილი ა., (2021), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოხატვის თავისუფლება და მედია გაშუქება, გვ. 10.

[13] იქვე

[14] სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (2016), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაციის კვლევა.

დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე გულისხმობს შეზღუდული შესაძლებლობის საფუძველზე აღმოცენებულ ნებისმიერ განსხვავებას, გარიყვას ან აკრძალვას, რომლის მიზანს ან შედეგს წარმოადგენს აღიარების, თანაბარი უფლებებისა და პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ნებისმიერ სხვა სფეროში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ ფუნდამენტურ ღირებულებათა რეალიზების მინიმუმამდე დაყვანა ან სრული უარყოფა.[15]

სწორედ ამ კონტექსტში, მედიას აქვს სოციალური პასუხისმგებლობა, არა მხოლოდ არ გაამძაფროს დისკრიმინაცია და ირაციონალური შიშები, არამედ მათ დაუპირისპიროს სწორი საინფორმაციო პოლიტიკა[16].

არანაკლებ მნიშვნელოვანია **პოზიტიური დისკრიმინაციის** არიდება. როგორც წესი, კეთილგანწყობილი ადამიანები ცდილობენ განსაკუთრებული ყურადღება და სითბო გამოხატონ შშმ პირების მიმართ, მიმართონ მათ მოფერებითი სიტყვებით ან ინტონაციით, ჩააყენონ შშმ პირები სხვასთან მიმართებაში უპირატეს მდგომარეობაში.

პოზიტიური დისკრიმინაციის მაგალითია, როცა დაუნის სინდრომის მქონებ პირებს "მზის შვილებს" ან "მზე ადამიანებს" უწოდებენ. უნდა გვახსოვდეს, რომ ასეთი ეპითეტებით მხოლოდ ყურადღებას ვამახვილებთ მათ მდგომარეობაზე, რაც არც მედიის მიზანია და არც ყველა შშმ პირის სურვილი.

იმისათვის რომ თავი აარიდოთ დისკრიმინაციას, დაუსვით თავს კითხვა - მოექცეოდით/ ესაუბრებოდით თუ არა იგივენაირად ტიპური განვითარების რესპონდენტს?

[15] შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[16] საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2019), სიძულვილის ენასთან ბრძოლა - სახელმძღვანელო წესები მედიისთვის, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684-sidzulvilis-enasthan-brdzola-sakhelmdzghvanelo-tsesebi-mediisthvis. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

ტერმინოლოგია

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც ჟურნალისტებმა უნდა იცოდნენ არის ის, თუ როგორ ისაუბრონ შშმ პირთა საკითხებზე სწორად. არასწორი და სტიგმატიზებული ტერმინების გამოყენებით, შესაძლებელია, ზიანი მიადგეს როგორც კონკრეტულ ადამიანს, ასევე თემს.

დღეისათვის ქართულ ენაზე ერთადერთი სწორი ფორმა არის - შეზღუდული **შესაძლებლობის** მქონე პირი[17].

ხშირად იყენებენ სიტყვათა შეთანხმებას ,,შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი'', სადაც სიტყვა ,,შესაძლებლობა'' მრავლობითში არის გამოყენებული, რაც არასწორია. პირს იმის გამო კი არ აქვს შეზღუდული შესაძლებლობა, რომ სხვადასხვა, მრავლობითი უნარები აქვს შეზღუდული (მაგ., მხედველობის, სმენის და ა.შ.), არამედ შეზღუდული აქვს ერთი - **სოციალურ გარემოში თანაწორი ინტერგირების შესაძლებლობა[18].** სხვადასხვა წყაროს შეჯერებით[19], გთავაზობთ სწორ და არასწორ ტერმინოლოგიას, რომელიც წარმოდგენილია ცხრილში N1.

ცხრილი N1: სწორი და არასწორი ტერმინოლოგიის სამახსოვრო

არასწორია	**სწორია**
შეზღუდული შესაძლებლობ<u>ების</u> მქონე პირი, უნარშეზღუდული, ხეიბარი, ინვალიდი, კოჭლი, განსხვავებული შესაძლებლობის მქონე პირი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი (შშმპ)
ეტლს მიჯაჭვული დავრდომილი, ხეიბარი, ინვალიდი	ეტლით მოსარგებლე
ყრუ-მუნჯი	ყრუ, სმენადაქვეითებული
ბრმა, მხედველობადაქვეითებული	უსინათლო, მცირემხედველი
დაუნი, მზის შვილი, მზის ბავშვი	დაუნის სინდრომის მქონე პირი დაუნის სინდრომის მქონე ბავშვი
აუტიზმით დაავადებული, აუტისტური აშლილობის მქონე პირი, აუტისტური სპექტრის აშლილობით დაავადებული	აუტისტური სპექტრის მქონე, აუტისტი
ცერებლარული დამბლით დაავადებული	ცერებლური დამბლის დიაგნოზის მქონე

[17] მენაბდე ვ., (2012), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, მედიის განვითარების ფონდი, ხელმისაწვდომია: https://mdfgeorgia.ge/uploads//Shezguduli_shesazleblobebis_pirebtan_dakavshirebuli_sakitxebis_gashukeba_mediashi.pdf. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[18] იქვე

[19] Guidelines: How To Write About People with Disabilities (9th edition), The university of Cansas, ხელმისაწვდომია: https://rtcil.org/guidelines , უფრო მეტი იქვე ბმულზე: https://rtcil.org/sites/rtcil/files/documents/9%20ed%20guidelines%20pamphlet%2012.22.2020--fixed.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

ეპილეფსიით დაავადებული ადამიანი	ეპილეფსიის მქონე ადამიანი
განვითარების შეფერხება	განვითარების ეტაპების დაყოვნება
ჯუჯა, ლილიპუტი, პატარა ადამიანი	აქონდროპლაზიის მქონე / აქონდროპლაზიის სინდრომის მქონე
გონებასუსტი, გონებრივად ჩამორჩენილი, დებილი, გონებაშეზღუდული	ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი
გიჟი, შეზოფრენიკი, სულიერად ავადმყოფი	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირი
საგიჟეთი, ფსიქიკური დაწესებულება	ფსიქიატრიული საავადმყოფო
ინვალიდთა პარკინგი (ტუალეტი)	ადაპტირებული, შშმ პირთა პარკინგი (ტუალეტი)

გავრცელებული პრაქტიკით, უფრო განზოგადოებული შინაარსისათვის, ხშირად იყენებენ სიტყვათშეთანხმებას: სმენის სირთულის მქონე, მხედველობის სირთულის მქონე, გადაადგილების სირთულის მქონე და ა.შ.

გაიდლაინებზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ საქართველოში, თემის წევრებს შორის, ყველა ტერმინთან მიმართებით შეთანხმება არაა. მაგალითად, სიტყვა „სირთულის“ გამოყენებასთან დაკავშირებით აზრთა სხვადასხვაობაა.

შშმ პირებზე მასალის მომზადებისას, მნიშვნელოვანია ჟურნალისტმა იცოდეს როგორ მოიხსენიოს ის, ვინც არაა შშმ პირი. ეთიკური ანტონიმები ასახულია ცხრილში N2

ტიპური განვითარების მქონე პირი არის ე.წ. ქოლგა ტერმინი, რომელიც მოიაზრებს ყველა პირს, რომელიც არ არის შშმ

შშმ პირის ანტონიმად საერთაშორისო საზოგადოებაში დამკვიდრებული ტერმინია „შეზღუდული შესაძლებლობის არმქონე პირი“, რომლის გამოყენებაც ასევე შეიძლება.

ცხრილი N2: ანტონიმების სამახსოვრო

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი	**ტიპური განვითარების მქონე პირი**
ყრუ, სმენადაქვეითებული	სმენის მქონე
უსინათლო, მცირემხედველი	მხედველი
აუტიზმი ან სხვა განვითარების სხვაობა	ნეიროტიპული

- შშმ პირის ანტონიმად ნუ გამოიყენებთ ისეთ ტერმინებს, როგორიცაა: ჩვეულებრივი, ნორმალური, ჯანმრთელი ადამიანი.
- შშმ პირებისთვის განკუთვნილი პარკირება, ლიფტი მოიხსენიეთ, როგორც ადაპტირებული შენობა, ტრანსპორტი, კიბე და ა.შ. **გრაფიკა N2 აჩვენებს**

გრაფიკა N2: ადაპტირების აღმნიშვნელი ნიშნები

როგორ ვიმუშაოთ უსინათლო და მცირემხედველ რესპონდენტთან?

კალიფორნიის სან-ფრანსისკოს უნივერსიტეტის მონაცემების მიხედვით, უსინათლო და მცირემხედველი საზოგადოება მრავალფეროვანია. მხედველობის სირთულის მქონე პირებს, შესაძლოა, ჰქონდეთ სხვადასხვა დონის მხედველობა. უსინათლოთა და მცირემხედველთა ნაწილი წერა-კითხვისათვის, ანბანური და რიცხვითი სიმბოლოების რელიეფურ-წერტილოვან შრიფტს - ბრაილის შრიფტს - იყენებს. ასევე გამოიყენება ტექსტის წამკითხავი კომპიუტერული პროგრამები და აპლიკაციები[20].

უსინათლოა პირი, რომელსაც მხედველობა საერთოდ არ აქვს. მცირემხედველია პირი, რომელსაც მხედველობა, გარკვეული ხარისხით, შენარჩუნებული აქვს.

ამ საკითხზე მნიშვნელოვან რეკომენდაციებს თავად თემის წარმომადგენლები გვიზიარებენ[21]. მათ მიერ გაზიარებულ რჩევებს აქაც გაწვდით. კერძოდ, როდესაც რესპონდენტი უსინათლო/მცირემხედველია, სასურველია, გავითვალისწინოთ:

- შეხვედრისას აუცილებლად წარადგინეთ თავი, გახსოვდეთ, რომ ამ დროს თქვენ გარეგნობით ვერ გიცნობენ[22];
- განუმარტეთ რესპონდენტს, კიდევ ვინ ესწრება ჩაწერას - ოპერატორი, პროდიუსერი და ა.შ., და წარუდგინეთ ისინი;
- უსინათლო ადამიანის გარემოცვაში ან მასზე საუბრისას მიმართეთ უშუალოდ მას და არა მის თანმხლებს;
- მიმართეთ უსინათლოს იმ ფორმით, რა ფორმითაც მსგავს სიტუაციაში (მისი ასაკის, მდგომარეობისა და თქვენთან სიახლოვის შესაბამისად) მიმართავდით მხედველ ადამიანს;
- ისაუბრეთ საშუალო სიჩქარით, გარკვევითა და საშუალო ხმით;
- როცა საუბარი რამდენიმე პირს შორის მიმდინარეობს, მიმართეთ უსინათლო ადამიანს სახელით, რათა მიხვდეს, რომ მას ესაუბრებით;
- აუხსენით რესპონდენტს სად დგას კამერა, რომელ მხარეს უნდა შებრუნდეს კამერისკენ, სად არის მიკროფონი და ა.შ.
- ჰკითხეთ თავად ხომ არ აქვს რამე დამატებითი მოთხოვნა ინტერვიუს ჩაწერის პროცესთან დაკავშირებით;
- მიუხედავად იმისა, ინტერვიუს შენობაში იწერთ თუ ღია ცის ქვეშ, არასოდეს მიუთითოთ რესპონდენტს, უნდა ეკეთოს თუ არა სათვალე;

---

[20] Communicating with people who are hearing impaired, UCSF Health, ხელმისაწვდომია: https://www.ucsfhealth.org/education/communicating-with-people-with-hearing-loss. (ბოლო ნახვა: 09.09.2024).

[21] გუმბარიძე ე., (2017), უსინათლო ადამიანთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელი 26 რეკომენდაცია, ჟურნალი „ლიბერალი“, ხელმისაწვდომია: https://liberali.ge/news/view/31304/usinatlo-adamiantan-urtiertobisas-gasatvalistsinebeli-26-rekomendatsia?fbclid=IwY2xjawE0T6pleHRuA2FlbQIxMAABHdnxm04k7_DslM0xGQURtEHeY-AiDDKgq9AjJ4qCc5NqId4KSuzzzvfAfw_aem_jtVW6Y2QfIm6Kt0DV0wT_w. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[22] How to assist a person living with blindness or low vision, ხელმისაწვდომია: https://www.visability.com.au/about-visability/vision-resources/sighted-guide/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024).

- წერილობითი კომუნიკაციისას, თუ საჭიროა მასალის გაგზავნა, ჰკითხეთ, რომელია სასურველი ფორმატი (ზოგჯერ pdf ფორმატში შენახულიდასკანირებული დოკუმენტის აღქმა ეკრანის მკითხველს არ შეუძლია, შესაძლოა, უფრო მისაღები ფორმატი Word-ის ფორმატის დოკუმენტი იყოს);
- პირისპირ შეხვედრისას ჰკითხეთ რესპონდენტს, ხომ არ სჭირდება თქვენი დახმარება. თუ სჭირდება, დააზუსტეთ - კონკრეტულად რაში;
- თუ საჭიროა გადაადგილებაში დახმარება, უსინათლო ან მცირემხედველი პირის გაცილებისას, ნუ შეეხებით მას ზედმეტად, დაუდექით ერთი ნაბიჯით წინ ისე, რომ ის თავად შეგეხოთ იდაყვთან;
- გაახმოვანეთ და საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ წინაღობები. მაგალითად: „კიბე ზემოთ, საფეხური ქვემოთ“;
- დასაჯდომის მითითებისას უსინათლო ადამიანს ხელი სკამის საზურგეზე დაადებინეთ. ასეთის არარსებობის შემთხვევაში, გააკეთეთ ისე, რომ უსინათლოს ფეხი სკამის ფეხს შეეხოს;
- ავტომობილში ჩასხდომისას უსინათლოს ხელი მანქანის კარის სახელურზე დაადებინეთ. მიუთითეთ, საითკენ არის ავტომობილი მიბრუნებული და ის დამოუკიდებლად ჩაჯდება[23].

[23] გუმბარიძე ე., (2017), უსინათლო ადამიანთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელი 26 რეკომენდაცია, ჟურნალი „ლიბერალი“,ხელმისაწვდომია: https://liberali.ge/news/view/31304/usinatlo-adamiantan-urtiertobisas-gasatvalistsinebeli-26-rekomendatsia?fbclid=IwY2xjawE0T6pleHRuA2FlbQIxMAABHdnxm04k7_DslM0xGQURtEHeY-AiDDKgq9AjJ4qCc5NqId4KSuzzzvfAfw_aem_jtVW6Y2QfIm6Kt0DV0wT_w. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

როგორ ვიმუშაოთ ყრუ და სმენადაქვეითებულ რესპოდენტებთან?

ყრუ და სმენადაქვეითებული პირების ჩაწერას თავისი სპეციფიკა აქვს და მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტმა ეს წესები გაითვალისწინოს.

ყრუა პირი, რომელსაც სმენა საერთოდ არ აქვს. სმენადაქვეითებულია პირი, რომელსაც სმენა, გარკვეული ხარისხით, შენარჩუნებული აქვს.

სმენადაქვეითებული პირი, შესაძლოა, იყენებდეს სასმენ აპარატს და/ან კოხლეარულ იმპლანტს. ყრუ და სმენადაქვეითებული პირები ჟესტურ ენაზე საუბრობენ, თუმცა ეს ყველას არ ეხება. სმენადაქვეითებული პირების ნაწილს, საუბრის შინაარსის გაგება თანამოსაუბრის ტუჩების მოძრაობით შეუძლია.

თუ ჟესტური ენის თარჯიმნის საჭიროება არ არის და ესაუბრებით სმენადაქვეითებულ ადამიანს, სასურველია, გაითალისწონოთ კალიფორნიის სან-ფრანსისკოს უნივერსიტეტის მიერ შემუშავებული რჩევები[24]:

- დადექით განათებულ ადგილზე, სახით რესპონდენტისკენ. არ დადგეთ ფანჯრის წინ, რადგან თქვენს უკან არსებულმა სინათლემ, შესაძლოა, გაართულოს ტუჩებიდან წაკითხვა;
- მოერიდეთ ძალიან სწრაფად საუბარს ან ზედმეტად რთული წინადადებების გამოყენებას;
- ისაუბრეთ მკაფიოდ და შედარებით ნელა, ფრაზებს შორის გააკეთეთ პაუზა;
- ნუ იყვირებთ, მოერიდეთ ტუჩებით გადამეტებულ მოძრაობას;
- თუ რესპონდენტმა ვერ გაიგო თქვენი კითხვის შინაარსი, იგივე სიტყვების გამეორების ნაცვლად, შეეცადეთ იდენტური კითხვა დასვათ სხვა, უფრო მარტივი სიტყვებით;
- თუ საუბრის თემა იცვლება, აუცილებლად უთხარით ამის შესახებ რესპონდენტს. მაგალითად: „ახლა ჩვენ საუბარს გავაგრძელებთ შემდეგ თემაზე“;
- სმენადაქვეითებული პირების საუბრის მანერა განსხვავებულია და, შესაძლოა, გარკვეული ფრაზები თქვენთვის გაუგებარი აღმოჩნდეს. ნუ მოგერიდებათ, სთხოვეთ თანამოსაუბრეს, წინადადება გაიმეოროს.

თუ ჟესტური ენის თარჯიმნის საჭიროება არის და ესაუბრებით ყრუ პირს, სასურველია, გაითვალისწინოთ სხვადასხვა ორგანიზაციისა და ავტორის მიერ შემუშავებული და შეჯერებული რჩევები:

- თარჯიმნის ჩართულობის მიუხედავათ, ნუ დაგავიწყდებათ რომ თქვენი რესპონდენტი ის არ არის. კომუნიკაციისას და ინტერვიუს ჩაწერისას ესაუბრეთ შშმ პირს, ფოკუსი სწორედ მასზე უნდა იყოს[25];
- სატელევიზიო ინტერვიუს ჩაწერისას თარჯიმანი შეიძლება იდგეს, როგორც რესპონდენტის გვერდით, ასევე კადრს მიღმა;

---

[24] Communicating with people who are hearing impaired," UCSF Health, ხელმისაწვდომია: https://www.ucsfhealth.org/education/communicating-with-people-with-hearing-loss (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[25] Vernon G., Guidelines for Broadcasting Sign Language Interpreters During Televised Events, ხელმისაწვდომია: https://cnlse.es/es/recursos/biblioteca/guidelines-for-broadcasting-sign-language-interpreters-during-televised-events (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

- თუ ჟესტური ენის თარჯიმანი ინტერვიუს ჩაწერისას დგას ყრუ პირის გვერდით და სინქრობულად თარგმნის, უმჯობესია, კადრში ისიც ჩანდეს, ამ შემთხვევაში სუბტიტრის გამოყენება აღარ დაგჭირდებათ;

- თუ ჟესტური ენის თარჯიმანი კადრს მიღმაა, სატელევიზიო ინტერვიუ ეთერში, შესაძლოა, გავიდეს, როგორც კადრს მიღმა თარჯიმნის ხმით, ასევე მოგვიანებით გახმოვანებული (როგორც, მაგალითად, უცხოენოვანი ინტერვიუ). ასეთი ინტერვიუ ყრუ/სმენადაქვეითებული მაყურებლისთვის გასაგები რომ იყოს, გამოიყენეთ სუბტიტრი;

- სამწუხაროდ, საქართველოში სახელმწიფო უწყებებსა და სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციაში არ არის დანერგილი პრაქტიკა, რომ მნიშვნელოვანი პრესკონფერენციებისას მაინც, სპიკერის გვერდით ჟესტური ენის თარჯიმანი იდგეს. თუ ასეთ პრესკონფერენციას აშუქებთ, აუცილებელია, რომ კადრში სპიკერთან ერთად ყოველთვის იყოს თარჯიმანიც[26].

[26] Guidelines on Providing Access to Public Health Information in National Sign Languages during the Coronavirus Pandemic, (2020), WORLD FEDERATION OF THE DEAF WORLD ASSOCIATION OF SIGN LANGUAGE INTERPRETERS, Helsinki, FINLAND; ხელმისაწვდომია: https://wfdeaf.org/wp-content/uploads/2020/04/WFD-WASLI-Guidelines-SL-access-FINAL-18March20-1.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

როგორ ვიმუშაოთ დაუნის სინდრომის ან სხვა ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან?

შეხედულება, რომ დაუნის სინდრომის მქონე ყველა ადამიანი ვერ საუბრობს - მცდარია. მცდარია მოსაზრებაც, რომ ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს აზრის ჩამოყალიბება არ შეუძლიათ. მართალია, ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია, თუმცა, როგორც წესი, დაუნის სინდრომის ან სხვა მდგომარეობის მქონე ადამიანებს შეუძლიათ ისაუბრონ არა მხოლოდ მათთან დაკავშირებულ საკითხებზე, არამედ სხვა თემებზეც. საერთაშორისო პრაქტიკაზე დაფუძნებული[27] გამოცდილება და რჩევები ასეთია:

- პირველ რიგში, გაარკვიეთ არის თუ არა შესაძლებელი მასალის მთავარი გმირის ჩაწერა;
- ვარაუდის ნაცვლად, თუ რა საჭიროებას უნდა მოარგოთ ინტერვიუ, მარტივად ჰკითხეთ რესპონდენტს, სჭირდება თუ არა დამატებით რამე.
- ინტერვიუს დროს რესპონდეტს დეტალურად, მარტივი ინსტრუქციით, აუხსენით, თუ როგორ წარიმართება პროცესი;
- კითხვა დასვით მარტივი ენით, მკაფიოდ და ნელა. საჭიროების შემთხვევაში გაიმეორეთ.
- დაუნის სინდრომის, ცერებრული დამბლის მქონე ან სხვა მდგომარეობის ადამიანებს, შესაძლოა, ჰქონდეთ საუბრის საკუთარი მანერა. თუ ვერ გაიგეთ რას ამბობს რესპონდენტი, ნუ მოგერიდებათ და სთხოვეთ მას, რომ გაიმეოროს;
- ინტელექტუალური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არ არიან ცალკეული კლასის წევრები. მათ ჰყავთ მეგობრები, ოჯახი, აქვთ ურთიერთობები, შეხედულებები და ა.შ. ამიტომ წარმოაჩინეთ ისინი საზოგადოების ნაწილად და ჰკითხეთ აზრი სხვადასხვა საკითხზე;
- მიუხედავად იმისა, რომ, შესაძლოა, საუბარი არ ჟღერეს ისე, როგორც ტიპური განვითარების ადამიანის შემთხვევაში, ასეთი ინტერვიუ ჩვეულებრივ უნდა გავიდეს ეთერში. თუ ხვდებით, რომ საუბრის გარჩევა რთულია, გამოიყენეთ სუბტიტრები;
- დაუნის სინდრომის ან სხვა მდგომარეობის მქონე ადამიანებს, რომლებმაც რამე წარმატებას მიაღწიეს, ზედმეტი პათეტიკით ნუ წარმოაჩენთ "გმირად". ეს იმაზე მეტყველებს, რომ ასეთი რამ გასაკვირია, რომ დაუნის სინდრომის მქონე ადამიანებს არ შეუძლიათ მიაღწიონ წარმატებას;
- დაუნის სინდრომის მქონე ან სხვა მდგომარეობის ადამიანებს, რომლებიც ქორწინდებიან / აქვთ სამუშაო / ჰყავთ შვილები / ეწევიან ყოველდღიურ საზოგადოებრივ საქმიანობას, ნუ წარმოაჩენთ, როგორც "რაღაც არაჩვეულებრივებს";
- ფოკუსირდით თქვენი მასალის გმირზე და არა მის მდგომარეობაზე (თუ მასალის მიზანი კონკრეტული მდგომარეობის ხაზგასმა არ არის);
- არ წარმოაჩინოთ მდგომარეობა, როგორც ტრაგედია ან ტანჯვა და დაავადება. ყველა ადამიანი არის ინდივიდი, რომლის ცხოვრებაც საინტერესო და მრავალფეროვანია[28].

---

[27] The Down Syndrome Federation, Media Guidelines, ხელმისაწვდომია: https://www.downsyndrome.org.au/news-events/media/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[28] The Down Syndrome Federation, Media Guidelines, ხელმისაწვდომია: https://www.downsyndrome.org.au/news-events/media/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

ფსიქიკური ჯანმრთელობის საკითხების გაშუქება

მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველ მერვე ადამიანს მენტალური ჯანრთელობის პრობლემა აქვს[29]. საქართველოს მოსახლეობის სულ მცირე 5%-ს აღენიშნება ისეთი ფსიქიკური აშლილობა, რომელიც შესამჩნევია ოჯახის წევრების, ახლო მეგობრებისა და კოლეგებისათვის და მათ საქმიანობაზე ახდენს გავლენას[30].

შშმ პირთა თემში ერთ-ერთი ყველაზე მეტად სტიგმატიზებული საკითხი, სწორედ ფსიქიკური ჯანმრთელობაა. განსაკუთრებით მაშინ, როცა მას აკავშირებენ სისხლის სამართლის დანაშაულებებთან. ხშირია შემთხვევა, როცა მედიაში ისე საუბრობენ ადამიანის ფსიქიკური ჯანმრთელობაზე, რომ ამასთან დაკავშირებით მხოლოდ ვარაუდი აქვთ მოსმენილი.

როდესაც ვსაუბრობთ ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემაზე, ისე უნდა გადმოვცეთ ინფორმაცია, რომ ადამიანს იარლიყები არ მივაწებოთ. ეს განსაკუთრებით მაშინაა გასათვალიწინებელი, როცა კონკრეტული ტერმინები ისედაც ატარებს სტერეოტიპულ და წინასწარგანწყობით მნიშვნელობებს.

არის შემთხვევები, როცა კრიმინალური ამბების გაშუქებისას, ეჭვმიტანილების ადვოკატები მედიას იყენებენ დაცვის ქვეშ მყოფთა ინტერესებისთვის. ისინი ავრცელებინებენ ინფორმაციას, თითქოს პირი დანაშაულის ჩადენისას შეურაცხადი იყო. ასეთი ინფორმაციის გავრცელება და სურათის შექმნა მხოლოდ დაცვის მხარის ინტერესშია, რათა დანაშაულისათვის ბრალდებულს უფრო მსუბუქი სასჯელი მიესაჯოს. მედიამ ასეთი თემები პასუხისმგებლობით უნდა გააშუქოს.

გახსოვდეთ, რომ მოძალადეთა და მძიმე დანაშაულების ჩამდენთა უმეტესობას **ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა არ აქვს[31].**

ცხრილი N3 მოიცავს და ავსებს საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის მიერ მომზადებულ სახელმძღვანელო წესებს, რომლებიც მნიშვნელოვანია რომ გვახსოვდეს.

ცხრილი N3: ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე პირთა შესახებ ტერმინოლოგიის სამახსოვრო.

არასწორია	**სწორია**
გიჟი, სულიერად ავადმყოფი, შეზოფრენიკი	ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის მქონე; პირი, რომელსაც შიზოფრენიის დიაგნოზი აქვს.
ბიპოლარიკი	პირი, რომელსაც ბიპოლარული აშლილობა აქვს
პარანოიკი	პირი, რომელსაც პარანოიდული აზრები აქვს/ პარანოიდული შიზოფრენიის დიაგნოზი აქვს
საგიჟეთის პაციენტი, ფსიქიატრიულის პაციენტი	ფსიქიკური ჯანმრთელობის სერვისების მიმღები პირი

[29] Mental Disorders, Key Facts, World health organization Mental disorders, (2022), ხელმისაწვდომია: https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/mental-disorders/?gad_source=1&gclid=EAIaIQobChMIkarh_YrHhwMVJzoGAB2wHSPUEAAYASAAEgLwTfD_BwE (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[30] საქართველოს 2022-2030 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია, საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2022, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5357283?publication=0 (ბოლო ნახვა: 09.09.2024).

[31] ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქების სახელმძღვანელო წესები, (2017), საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/36854-fsiqikuri-janmrthelobis-gashuqebis-sakhelmdzghvanelo-tsesebi (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამოიჩინოთ ძალადობაგამოვლილი და მოწმის სტატუსის მქონე ფსიქიკური ჯანმრთელობის მქონე პირთა გაშუქებისას.

სასურველია, გვახსოვდეს საერთაშორისო პრაქტიკით დამკვიდრებული წესები:

- შესაძლოა, ადამიანი სრულწლოვანი იყოს და საკუთარი სურვილით გაძლევდეთ ინტერვიუს, თუმცა გააანალიზეთ საუბრის შინაარსი - ხომ არ შეუქმნის თქვენს რესპონდენტს პრობლემას ასეთი ინტერვიუს გამოქვეყნება, ხომ არ აქცევს მას ბულინგის ან დაცინვის ობიექტად;
- შესაძლოა, ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გამო, პოლიციამ მოწმე არ გამოკითხოს ან არასათანადოდ შეაფასოს ასეთი ჩვენება. იყავით ყურადღებით, რომ ასეთი ადამიანის ინტერესი იყოს დაცული;
- არ მოახდინოთ ადამიანის რეტრავმატიზება. თუ ხვდებით, რომ რესპონდენტს არ სურს თემაზე სიღრმისეულად საუბარი ან ეს პროცესი სტრესს იწვევს, შეწყვიტეთ ინტერვიუ;
- შშმ პირების შემთხვევაში იდენტიფიცირების და სახის დაფარვის განსაკუთრებული სტანდარტი არ არსებობს. იხელმძღვანელეთ წესებით, რომელიც ასეთ დროს ზოგადად გამოიყენება.

2015-2018 წლის მონაცემებით ძარცვის, თავდასხმის ან ერთ-ერთის მსხვერპლ 15-49 წლის ქალებში, ორჯერ მეტია შშმ ქალების წილი[32].

დიაგნოზზე საუბარი

- არ გამოთქვათ ვარაუდი ადამიანის ფსიქიკური პრობლემის შესახებ, თუკი ზუსტად არ იცით, რომ მას ამგვარი **დიაგნოზი** აქვს;[33]
- **დიაგნოზის** არსებობისას, ხაზგასმა პირის ფსიქიკურ ჯანმრთელობაზე დასაშვებია მხოლოდ ამ დეტალის მიმართ განსაკუთრებული საჯარო ინტერესის არსებობისას;
- მიუღებელია, ადამიანის სხვადასხვა ქმედების მტკიცებითი ფორმით დაკავშირება მის **დიაგნოზთან**, როდესაც დადასტურებული არ არის, რომ ქმედება ჯანმრთელობის მდგომარეობით იყო გამოწვეული;
- თუ ამას მაინც ხაზს უსვამთ, დააზუსტეთ **დიაგნოზის დასმის დრო** და **ამჟამინდელი მდგომარეობა.** შესაძლოა, ადამიანს ოდესღაც ჰქონდა დიაგნოზი, მაგრამ დღეს მისგან თავისუფალია. ან, შესაძლოა, დიაგნოზი ისევ არსებობს, თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობა არ არის პრობლემური;
- კონკრეტულ დიაგნოზზე საუბრის ნაცვლად, უმჯობესია აღწეროთ ფუნქციური პრობლემები (მაგალითად: არ გამოდიოდა სახლიდან, აგროვებდა ნაგავს).

---

[32] MICS, მიქსი საქართველო 2019, მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, 2018, ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/media/5896/file/Mics_Georgian.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[33] ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქების სახელმძღვანელო წესები, (2017), საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/36854-fsiqikuri-janmrthelobis-gashuqebis-sakhelmdzghvanelo-tsesebi (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

მდგომარეობა თუ დიაგნოზი

გახსოვდეთ, რომ შეზღუდულ შესაძლებლობას ყოველთვის არ იწვევს დაავადება და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები ყოველთვის არ არიან პაციენტები.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები შეიძლება იყვნენ ჯანმრთელები, თუმცა ჰქონდეთ ისეთი ქრონიკული მდგომარეობა, როგორიცაა ართრიტი ან დიაბეტი. სჯობს, არ გამოიყენოთ სიტყვა „ავადმყოფი“, როდესაც საუბრობთ შშმ პირებზე თუ ის კონკრეტულ მომენტში არ ებრძვის რომელიმე დაავადებას. პირი პაციენტად უნდა მოიხსენიოთ, მხოლოდ მაშინ, თუ ის მოცემულ მომენტში იღებს ჯანდაცვის სერვისს ან სამედიცინო დაწესებულებაში გადის მკურნალობას.

თუ პირი სარგებლობს, მაგალითად, დღის ცენტრის სერვისებით, ამ შემთხვევაში უნდა გამოვიყენოთ ტერმინი „სერვისის მიმღები პირი“ ან „ბენეფიციარი“. თუმცა, გაიდლაინებზე მუშაობისას, თემის წევრებს შორის გამოითქვა მოსაზრება, რომ სიტყვა „ბენეფიციარს“ ნეგატიური კონოტაცია აქვს, რადგან ჩნდება შთაბეჭდილება, თითქოს პირი მისთვის განკუთვნილ სერვისს კი არ იღებს სახელმწიფოსგან, არამედ გარკვეულ ბენეფიტს/სარგებელს.

შშმ პირთა სტატუსი, შესაძლოა, უკავშირდებოდეს როგორც მდგომარეობას, ისე დიაგნოზს. შშმ პირთა სტატუსის მინიჭება ხდება როგორც უვადოდ, ასევე ვადით.

კადრი და ხმა

ტელე-რადიო თუ მულტიმედიური მასალის მომზადებისას არანაკლებ მნიშვნელოვანია კადრებით, ფოტოებითა და აუდიო მასალით თხრობა. არასწორად შერჩეული კადრითა და მელოდიით, შესაძლოა, ჟურნალისტის ძალიან კარგი ნამუშევარი გამოუსწორებლად გაფუჭდეს.

დავიმახსოვროთ:

- ეტლით მოსარგებლე რესპონდენტი ყოველთვის უნდა ჩავწეროთ ისე, რომ კამერაც და ჟურნალისტიც მისი თვალების სიმაღლეზე იმყოფებოდნენ. იგივე მიდგომა უნდა გამოვიყენოთ აქონდროპლაზიის სინდრომის მქონე პირებთან და ნებისმიერ ადამიანთან, რომლის სიმაღლეც არ შეესაბამება კამერისას;
- ნუ გამოსახავთ შშმ პირებს დამამცირებელ მდგომარეობაში, არ გადაიღოთ კადრები, რომელიც მათ შეცოდებას გამოიწვევს;
- ხელოვნურად არ დადგათ კადრები, სადაც შშმ პირს სხვები ეხმარებიან;
- გაითვალისწინეთ, რომ რეალობის გადმოცმა ყველაზე მნიშვნელოვანია.
- შშმ პირებთან დაკავშირებულ სიუჟეტებში, მეტი დრამატიზმისთვის, არ გამოიყენოთ სევდიანი ან დამთრგუნველი მელოდია ან ხმები, ეს მხოლოდ აძლიერებს სტერეოტიპებს, რომლებიც იწვევს სიბრალულს.

„არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში არსებობს ასეთი მოწოდება: „არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“, რაც ნიშნავს, რომ როცა ვსაუბრობთ შშმ პირთა საკითხებზე, ეს არ უნდა გავაკეთოთ მათ გარეშე. ეს ეხება შშმ პირების მედიაში გაშუქებასაც.

ეს მოწოდება ჯერ კიდევ 1990 წელს გაჩნდა, როცა მწერალმა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დამცველმა აქტივისტმა **ჯეიმს ჩარლტონმა** გამოაქვეყნა წიგნი **„არაფერი ჩვენ შესახებ ჩვენ გარეშე“.** მას შემდეგ ეს გამოთქმა არ კარგავს აქტუალობას[34].

სამწუხაროდ, მედიაში სხვა პრაქტიკასაც ვხვდებით, როცა შშმ პირთა საკითხები ისე შუქდება, თითქოს მათ კომუნიკაცია არ შეუძლიათ, ვერ წარმოაჩენენ და იცავენ საკუთარ პოზიციას და გამოთქვამენ შეხედულებებს სხვადასხვა საკითხზე.

გაშუქებისას ყურადღება აუცილებლად უნდა გავამახვილოთ სწორედ რესპონდენტების შერჩევაზე. შშმ პირთა პრობლემატიკა ყველაზე უკეთ თავად მათ (და მათმა მშობლებმა) იციან, ამიტომ, როდესაც საუბარი აღნიშნულ საკითხებზეა, პირველ რიგში, რესპოდენტები თავად ის პირები უნდა იყვნენ, ვისაც პრობლემა უშუალოდ ეხება.

ამიტომ, სანამ ინტერვიუს ჩამოართმევთ მშობლებს, პირად ასისტენტს, ექიმებს და თუნდაც უცნობებს, გაარკვიეთ, ხომ არ არის შესაძლებელი კონკრეტულ პრობლემაზე თავად შშმ პირებმა ისაუბრონ, რადგან პირველი პირისგან მიღებული ინფორმაცია მეტად ღირებულია.

ქართულ მედიაში შშმ ადამიანების შესახებ მომზადებულ მასალაში, სიუჟეტებსა თუ სტატიებში შშმ პირთა პრობლემებსა და გამოწვევებზე, როგორც წესი, სხვა, ტიპური განვითარების ადამიანები საუბრობენ. ეს შეიძლება იყოს ოჯახის წევრი, ექიმი, ექსპერტი, მასწავლებელი, ხელისუფლების წარმომადგენელი და ა.შ. თავისთავად, ამაში პრობლება არ არის, თუ ჟურნალისტი ასევე დაინტერესდება შშმ პირის აზრით და მასთანაც ჩაწერს ინტერვიუს.

[34] Charlton J., (1998), Nothing About Us Without Us: Disability Oppression and Empowerment, Oxford Academic, ხელმისაწვდომია: https://academic.oup.com/california-scholarship-online/book/18906 (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

შშმ პირები გასართობ გადაცემებში

გასართობ გადაცემებსა და თოქ შოუებში შშმ პირების მონაწილეობა, მნიშვნელოვანია ხილვადობის გასაზრდელად, თუმცა ეს არ უნდა გაკეთდეს მათთვის ღირსების შემლახავი ფორმით. არის შემთხვევები, როცა მედიის გასართობ გადაცემებში შშმ პირს სასაცილო ისტორიების ობიექტებად წარმოაჩენენ. ამგვარი პრაქტიკა, სამწუხაროდ, მავნე ტრადიციად იქცა ქართულ მედიაშიც.

არის შემთხვევები, როცა გასართობ გადაცემებში ფსიქიკური სირთულის მქონე პირებს დასცინიან. იუმორს ამგვარი შინაარსით იყენებენ წამყვანები თუ მონაწილეები კომედიურ ჟანრში. ასეთი დამოკიდებულება აძლიერებს სტიგმას საზოგადოებაში და მითს იმის შესახებ, რომ შშმ პირი სერიოზულად არავინ უნდა აღიქვას. მეორე მხრივ, ის იწვევს მნიშვნელოვან ტრავმას თავად შშმ პირსა და მისი ოჯახის წევრებში. ეს მიდგომა უნდა შეიცვალოს.

შშმ პირი როგორც ქველმოქმედების ობიექტი

არის შემთხვევები, როცა შშმ პირები ხდებიან საქველმოქმედო ღონისძიების და ამ თემაზე მომზადებული მასალის გმირები. სოციალურ პრობლემებზე მომზადებულ მასალებში მედია შშმ პირებს სწორედ ქველმოქმედების ობიექტებად ხედავს.

ქველმოქმედებაში ცუდი არაფერია, თუმცა დახმარებისა და მხარდაჭერის მოძიებასთან ერთად, აქცენტი უნდა გაკეთდეს იმაზეც, რა სისტემურ პრობლემასთან გვაქვს საქმე, რის გამოც ამ ადამიანებს დახმარება სჭირდებათ.

გაშუქებისას, უნდა მოვერიდოთ შშმ პირის მოწყალების მიმღებ ობიექტად წარმოჩენას. გვახსოვდეს, რომ კადრებმა ან ტექსტმა ადამიანის ღირსება არ უნდა შელახოს. საჭიროა, მოვერიდოთ ისეთ კადრებს, როგორიცაა ტირილი. ნუ დაამძიმებთ სურათს დრამატული ტექსტითა და მუსიკით.

ყურადღებით იყავით - პოლიტიკოსები, ბიზნესმენები თუ სხვადასხვა ჯგუფები საკუთარი პიარ-კამპანიისთვის, პოზიტიური იმიჯის შესაქმნელად, იყენებენ შშმ პირებსაც. ასეთი მასალის მომზადებისას ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ შშმ პირები დამამცირებელ მდგომარეობაში არ აღმოჩნდნენ.

შშმ პირების ხელმისაწვდომობა ინფორმაციაზე

შშმ პირების ნაწილი მედიიდან ინფორმაციას სრულყოფილად ვერ იღებს. უსინათლო და მცირემხედველი პირებისათვის თუ ტელევიზიის შემთხვევაში ამბის გაგება მოსმენით შესაძლებელია, ონლაინ მედიაში სტატიებზე ხელმისაწვდომობა არასრულყოფილია. ზოგიერთი ვებგვერდი დაწერილი ტექსტის მოსასმენ აპლიკაციაში გადაყვანის შესაძლებლობას არ იძლევა.

ყრუ და სმენადაქვეითებული პირებისათვის კი, თუ სტატიების წაკითხვა პრობლემას არ წარმოადგენს, ვიზუალური მასალების აღქმა ტიტრის გარეშე შეუძლებელია. მედია ორგანიზაციები და ჟურნალისტები მაქსიმალურად უნდა ცდილობდნენ, მასალას თან დაურთონ სუბტიტრი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ათობით ტელევიზიაა, ჟესტური ენის თარჯიმანი მედიაპროდუქტის ძალიან მცირე ნაწილს თარგმნის. მნიშვნელოვანია საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება. მაგალითად, იმის გათვალისწინება თუ რა ფართობი უკავია ეკრანზე თარჯიმანს. შესაძლოა, ისე ჩანს, თითქოს ჟესტური ენა მოიცავს მხოლოდ ხელის და სხეულის ფართო მოძრაობებს, მაგრამ სინამდვილეში, ჟესტური ენა შედგება ბევრი შეუმჩნეველი მოძრაობისა და მახასიათებელისგან. ხელების, თითების, პირის, თავისა და სხეულის მცირე მოძრაობებსა თუ სახის გამომეტყველებას შეუძლია შეცვალოს მნიშვნელობა, ამიტომ ეს ყველაფერი გასაგებად უნდა ჩანდეს ტელევიზიით[35]. იმის გამო, რომ ზოგჯერ თარჯიმანისთვის ეკრანზე მცირე ადგილია დათმობილი, თარგმანის გარჩევა შეუძლებელია. სატელევიზიო სტანდარტის მიხედვით მიიჩნევა, რომ ჟესტური ენის თარჯიმანს უნდა ეკავოს ეკრანია არანაკლებ 1/6[36].

დამკვიდრებული სტანდარტით, კონტენტისთვის, რომელიც გადაიცემა დიდ ეკრანზე, რეკომენდირებულია, რომ „თარჯიმნის ყუთმა“ დაიკავოს ეკრანის სიგანის მინიმუმ ¼ და ეკრანის სიმაღლის ½. თუ მოსალოდნელია, რომ მასალა განთავსდება ინტერნეტსა და ტელევიზიაში, რეკომენდირებულია, რომ „თარჯიმანის ყუთმა“ დაიკავოს ეკრანის სიგანის მინიმუმ ⅓ და ეკრანის სიმაღლის ½[37]. გრაფიკა N3 და N4 ასახავს ამ სტანდარტებს.

გრაფიკა N3 და N4: დამკვიდრებული სტანდარტები





კვლევებმა აჩვენა, რომ ჟესტური ენის მომხმარებლები გამოთქვამენ სურვილს, რომ თარჯიმანს ეკრანზე უფრო დიდი ადგილი ეკავოს[38].

---

[35] Vernon G., Guidelines for Broadcasting Sign Language Interpreters During Televised Events, ხელმისაწვდომია: https://cnlse.es/es/recursos/biblioteca/guidelines-for-broadcasting-sign-language-interpreters-during-televised-events (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[36] იქვე

[37] Equal Dreams. Placement of Sign Language Interpreters in Media, ხელმისაწვდომია: https://equaldreams.sg/resources/sign-language-interpreting/layout-guide/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[38] Vernon G., Guidelines for Broadcasting Sign Language Interpreters During Televised Events, ხელმისაწვდომია: https://cnlse.es/es/recursos/biblioteca/guidelines-for-broadcasting-sign-language-interpreters-during-televised-events (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

რეკომენდაციები

სხვადასხვა ლიტერატურაზე დაყრდნობითა და ადგილობრივი კონტექსტისა და პრაქტიკის გათვალიწინებით, გთავაზობთ შეჯერებულ რეკომენდაციებს:

- შშმ პირთა საკითხზე მასალის მომზადებისას, წინასწარ გაარკვიეთ, არის თუ არა შესაძლებელი შშმ პირის ჩაწერა, დააზუსტეთ, რამე ხომ არ უნდა გაითვალისწინოთ ჩაწერის პროცესისთვის;
- თუ კონკრეტული დიაგნოზის, დაავადების ან მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია არ გაქვთ, რესპონდენტთან მისვლამდე აუცილებლად მოიძიეთ ინფორმაცია, თუ როგორ უნდა ჩაწეროთ ის, რა თავისებურებები შეიძლება ახლდეს ასეთ ინტერვიუს;
- ჰკითხეთ რესპონდენტს, ხომ არ აქვს რამე სურვილი/შემოთავაზება ინტერვიუს ჩაწერის პროცესთან დაკავშირებით[39];
- კითხვით მიმართეთ და პირადად ესაუბრეთ შშმ პირს და არა მის თანმხლებ პირს, ოჯახის წევრს, თარჯიმანს და ა.შ.;
- ნუ დაელაპარაკებით შშმ პირებს ენის მოჩლექით ან ზედმეტი მზრუნველობით. არ ესაუბროთ მათ შეცოდების ტონით;
- დაფიქრდით, იტყოდით/დაწერდით იგივეს, თუ ადამიანი არ იქნებოდა შშმ პირი?
- ფოკუსირდით არა შშმ პირის პერსონალურ სირთულეებზე, არამედ იმ გარემოებებზე, რომელიც ამ სირთულეებს განაპირობებს (არაადაპტირებული გარემო, არასაკმარისი სახელმწიფო პროგრამა და სერვისი, საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპები და ა.შ.);
- მხოლოდ მაშინ აღნიშნეთ ის, რომ რესპონდენტი ან სიუჟეტის გმირი არის შშმ პირი, როდესაც ამას კავშირი აქვს თემასთან;
- ნუ წარმოაჩენთ შშმ პირს უმწეოდ. ხელოვნურად ნუ დადგამთ კადრებს, სადაც შშმ პირებს სხვები ეხმარებიან;
- ნუ აჩვენებთ შშმ პირს დამამცირებელ მდგომარეობაში;
- მოერიდეთ შშმ პირის ქველმოქმედების ან მოწყალების მიმღებ ობიექტად წარმოჩენას;
- შშმ პირები გააშუქეთ ისე, რომ არ გახადოთ ბულინგისა და დაცინვის ობიექტი;
- მიუხედავად იმისა, რომ ხალხს უყვარს გმირები, ნუ აქცევთ შშმ პირს გმირად ან ჯადოსნური შესაძლებლობის მქონე ადამიანად. აჩვენეთ ის, როგორც ერთი რიგითი მოქალაქე;
- ნუ გამოიყენებთ შშმ პირის საპირისპიროდ ტერმინს „ჩვეულებრივი ადამიანი“, „ჯანმრთელი ადამიანი“;
- ნუ იტყვით “ისინი “და “ჩვენ”. ნუ ისაუბრებთ შშმ პირებზე ისე, თითქოს ისინი საზოგადოებისგან განყენებულ ჯგუფს წარმოადგენენ;

---

[39] Disability Reporting Handbook. The Golden Rules, (2022), ხელმისაწვდომია: https://www.mediadiversityaustralia.org/wp-content/uploads/2022/05/MDA-Disability-Reporting-Handbook_UPDATED-MAY-2022-V6_22052022-1.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

- შშმ პირებს აქვთ სხვადასხვა პროფესია, რომელშიც საკმაოდ მაღალი ცოდნა აქვთ. ჰკითხეთ მათ აზრი, შშმ პირთა საკითხების მიღმა, სხვა მიმდინარე თუ აქტუალურ მოვლენებზე[40];
- არ მოიხსენიოთ ადამიანი ფსიქიკური ჯანმრთელობის სირთულის მქონედ, თუ ეს თემას ცხადად არ უკავშირდება და დამატებით ინფორმაციას არ იძლევა;
- ისევე როგორც ტიპური განვითარების ადამიანის შემთხვევაში, შშმ პირები, რომლებმაც ძალადობა და შეურაცხყოფა განიცადეს, აღწერეთ როგორც „ძალადობაგამოვლილები“ და არა „მსხვერპლები“ (თუ ისინი ცოცხლები არიან)[41].
- ნუ დაფარავთ შშმ პირის სახეს მხოლოდ იმიტომ, რომ ის შშმ პირია. იხელმძღვანელეთ იდენტიფიცირების ზოგადი მედია სტანდარტით;
- ეცადეთ შეეწინააღმდეგოთ მითებს, რომლებიც არსებობს შშმ პირების მიმართ;
- ნუ დაელოდებით კონკრეტულთ თარიღებს, მოამზადეთ მასალა შშმ პირთა საკითხებზე საჭიროებიდან გამომდინარე;
- შეეწინააღმდეგეთ სტერეოტიპებს შშმ პირთა შესახებ;
- შეინარჩუნეთ მუდმივი კომუნიკაცია შშმ პირთა ორგანიზაციებთან, რომ მუდმივად იყოთ საქმის კურსში მათი გამოწვევების შესახებ;
- ხელოვნური დრამატიზებისათვის სევდიან მელოდიებსა და ბნელ კადრებს ნუ გამოიყენებთ/ დადგამთ;
- ყოველთვის შეეცადეთ, რომ თქვენს მიერ მომზადებულ მასალას თან ახლდეს სუბტიტრები;
- როგორც სხვა შემთხვევაში, შეეცადეთ რომ შშმ პირთა საკითხებზე მომზარებული მასალა იყოს გენდერულად დაბალანსებული.

მიუხედავად იმისა, რომ ესაა სტანდარტები და ტერმინები, რომელზეც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები თანხმდებიან, გახსოვდეთ, რომ ყველა შემთხვევა ინდივიდუალურია. ყოველთვის, პირველ რიგში, ჰკითხეთ თავად შშმ პირებს, როგორ ურჩევნიათ მოიხსენიოთ, გადაიღოთ და ა.შ., და პატივი ეცით მათ სურვილს.

ასევე, არსებობენ შშმ პირთა ორგანიზაციები, რომლებიც ყოველთვის მზად არიან დაგეხმარონ და გიპასუხონ ნებისმიერ შეკითხვაზე. გახსოვდეთ, რომ მედიას შეუძლია შეცვალოს შშმ პირთა მდგომარეობა უკეთესობისკენ.

---

[40] Disability Reporting Handbook, (2022), ხელმისაწვდომია: https://www.mediadiversityaustralia.org/wp-content/uploads/2022/05/MDA-Disability-Reporting-Handbook_UPDATED-MAY-2022-V6_22052022-1.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

[41] მედია სახელმძღვანელო, სახელმძღვანელო მითითებები და თვითრეგულირების სტანდარტები გენდერის, გენდერული ნიშნით და ლგბტქი საკითხებზე სენსიტიური და ეთიკური შესახებ, 2022, ხელმისაწვდომია: https://georgia.un.org/sites/default/files/2023-12/GE-GUIDELINES%20AND%20SELFREGULATORY%20STANDARDS%20ON%20THE%20SENSITIVE%20AND%20ETHICAL%20REPORTING%20OF%20GENDER%20GENDERBASED%20VIOLENCE%20AND%20LGBTQI%20ISSUES%20GEO.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

თარიღები, რომელიც უნდა გვახსოვდეს

4 იანვარი - ბრაილის მსოფლიო დღე

11 იანვარი - პეიჯეტის დაავადების შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

24 იანვარი - მებიუსის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

4 თებერვალი - კიბოსთან ბრძოლის მსოფლიო დღე

12 თებერვალი - ეპილეფსიის საერთაშორისო დღე

18 თებერვალი - ასპერგერის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

25 თებერვალი - კოხლეარული იმპლანტის საერთაშორისო დღე

თებერვალის ბოლო დღე - იშვიათი დაავადებების დღე

3 მარტი - სმენის მსოფლიო დღე

21 მარტი -დაუნის სინდრომის მსოფლიო დღე

24 მარტი - ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე

2 აპრილი - აუტიზმის შესახებ ცნობადობის ამაღლების საერთაშორისო დღე

7 აპრილი - ჯანმრთელობის მსოფლიო დღე

11 აპრილი - პარკინსონის მსოფლიო დღე

მაისის მესამე ხუთშაბათი - ხელმისაწვდომობის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

5 მაისი - დამოუკიდებელი ცხოვრების ევროპული დღე

7 ივნისი - ტურეტის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

14 ივნისი - საქართველოში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის დღე

21 სექტემბერი - ალცჰეიმერის მსოფლიო დღე

23 სექტემბერი - ჟესტური ენების საერთაშორისო დღე

სექტემბრის ბოლო კვირა - ყრუთა საერთაშორისო კვირეული

6 ოქტომბერი - ცერებრული დამბლის მსოფლიო დღე

10 ოქტომბერი - ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო დღე

15 ოქტომბერი - თეთრი ხელჯოხის დღე

25 ოქტომბერი - აქონდროპლაზიის სინდრომის შესახებ ცნობიერების ამაღლების დღე

13 ნოემბერი - უსინათლოთა საერთაშორისო დღე

14 ნოემბერი - დიაბეტის მსოფლიო დღე

3 დეკემბერი - შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საერთაშორისო დღე

ბიბლიოგრაფია

Charlton J., (1998), Nothing About Us Without Us: Disability Oppression and Empowerment, Oxford Academic, ხელმისაწვდომია: https://academic.oup.com/california-scholarship-online/book/18906 (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

Center for Disability Rights, Ableism, ხელმისაწვდომია: https://cdrnys.org/blog/uncategorized/ableism/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

Communicating with people who are hearing impaired," UCSF Health, ხელმისაწვდომია: https://www.ucsfhealth.org/education/communicating-with-people-with-hearing-loss (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

Disability Reporting Handbook, (2022), ხელმისაწვდომია: https://www.mediadiversityaustralia.org/wp-content/uploads/2022/05/MDA-Disability-Reporting-Handbook_UPDATED-MAY-2022-V6_22052022-1.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

Equal Dreams. Placement of Sign Language Interpreters in Media, ხელმისაწვდომია: https://equaldreams.sg/resources/sign-language-interpreting/layout-guide/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

Guidelines: How To Write About People with Disabilities (9th edition), The university of Cansas, ხელმისაწვდომია: https://rtcil.org/guidelines , უფრო მეტი იქვე ბმულზე: https://rtcil.org/sites/rtcil/files/documents/9%20ed%20guidelines%20pamphlet%2012.22.2020--fixed.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

Guidelines INCLUSION OF PERSONS WITH DISABILITIES IN, (2019), ხელმისაწვდომია: https://interagencystandingcommittee.org/sites/default/files/migrated/2020-11/IASC%20Guidelines%20on%20the%20Inclusion%20of%20Persons%20with%20Disabilities%20in%20Humanitarian%20Action%2C%202019_0.pdf. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

Guidelines on Providing Access to Public Health Information in National Sign Languages during the Coronavirus Pandemic, (2020), WORLD FEDERATION OF THE DEAF WORLD ASSOCIATION OF SIGN LANGUAGE INTERPRETERS, Helsinki, FINLAND; ხელმისაწვდომია: https://wfdeaf.org/wp-content/uploads/2020/04/WFD-WASLI-Guidelines-SL-access-FINAL-18March20-1.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

How to assist a person living with blindness or low vision, ხელმისაწვდომია: https://www.visability.com.au/about-visability/vision-resources/sighted-guide/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024).

Mental Disorders, Key Facts, World health organization Mental disorders, (2022), ხელმისაწვდომია: https://www.who.int/news-room/fact-sheets/detail/mental-disorders/?gad_source=1&gclid=EAIaIQobChMIkarh_YrHhwMVJzoGAB2wHSPUEAAYASAAEgLwTfD_BwE (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

The Down Syndrome Federation, Media Guidelines, ხელმისაწვდომია: https://www.downsyndrome.org.au/news-events/media/ (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

Trustmedia, Reframing Disability, (2020), p. 6.

Vernon G., Guidelines for Broadcasting Sign Language Interpreters During Televised Events, ხელმისაწვდომია: https://cnlse.es/es/recursos/biblioteca/guidelines-for-broadcasting-sign-language-interpreters-during-televised-events (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

World Bank Blogs (2023), ხელმისაწვდომია: https://blogs.worldbank.org/en/voices/reaching-women-disabilities-truly-inclusive-and-sustainable-development#:~:text=One%20in%20five%20women%E2%80%9420,prevent%20their%20socio%2Deconomic%20participation. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

World Health Organisations (2023), Key facts, ხელმისაწვდომია: (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

United Nation Convention on the Rights of Persons with Disabilities, (2006), ხელმისაწვდომია: https://www.ohchr.org/en/instruments-mechanisms/instruments/convention-rights-persons-disabilities (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

არღანაშვილი ა., (2021), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გამოხატვის თავისუფლება და მედია გაშუქება, გვ. 10.

გუმბარიძე ე., (2017), უსინათლო ადამიანთან ურთიერთობისას გასათვალისწინებელი 26 რეკომენდაცია, ჟურნალი „ლიბერალი“,ხელმისაწვდომია: https://liberali.ge/news/view/31304/usinatlo-adamiantan-urtiertobisas-gasatvalistsinebeli-26-rekomendatsia?fbclid=IwY2xjawE0T6pleHRuA2FlbQIxMAABHdnxm04k7_DslM0xGQURtEHeY-AiDDKgq9AjJ4qCc5NqId4KSuzzzvfAfw_aem_jtVW6Y2QfIm6Kt0DV0wT_w. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

მედიაწიგნიერების ჰაბი, ხელმისაწვდომია: https://mediatsigniereba.ge/teachers/mediatsigniereba-da-stereotipebi (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

მედია სახელმძღვანელო, სახელმძღვანელო მითითებები და თვითრეგულირების სტანდარტები გენდერის, გენდერული ნიშნით და ლგბტქი საკითხებზე სენსიტიური და ეთიკური შესახებ, 2022, ხელმისაწვდომია: https://georgia.un.org/sites/default/files/2023-12/GE-GUIDELINES%20AND%20SELFREGULATORY%20STANDARDS%20ON%20THE%20SENSITIVE%20AND%20ETHICAL%20REPORTING%20OF%20GENDER%20GENDERBASED%20VIOLENCE%20AND%20LGBTQI%20ISSUES%20GEO.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

მენაბდე ვ., (2012), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება, მედიის განვითარების ფონდი, ხელმისაწვდომია: https://mdfgeorgia.ge/uploads//Shezguduli_shesazleblobebis_pirebtan_dakavshirebuli_sakitxebis_gashukeba_mediashi.pdf. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

მიქსი საქართველო (2019), მრავალინდიკატორული კლასტერული კვლევა, 2018, ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/media/5896/file/Mics_Georgian.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

ნილსენი მ., (2021), ვებ მისაწვდომობა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის საქართველოში: არსებული მდგომარეობა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკა, გაეროს უნივერსიტეტი, ხელმისაწვდომია: https://www.undp.org/sites/g/files/zskgke326/files/migration/ge/undp_ge_dg_web-accessibility-for-pwds_current-situation_intl-practice-2021_geo.pdf (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია (2019), სიძულვილის ენასთან ბრძოლა - სახელმძღვანელო წესები მედიისთვის, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/75684-sidzulvilis-enasthan-brdzola-sakhelmdzghvanelo-tsesebi-mediisthvis. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

საქართველოს 2022-2030 წლის ფსიქიკური ჯანმრთელობის სტრატეგია, საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2022, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/5357283?publication=0 (ბოლო ნახვა: 09.09.2024).

სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტი (2016), შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა სტიგმატიზაციის კვლევა.

ფსიქიკური ჯანმრთელობის გაშუქების სახელმძღვანელო წესები, (2017), საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია, ხელმისაწვდომია: https://www.qartia.ge/ka/sakhelmdzghvanelo-tsesebi1/article/36854-fsiqikuri-janmrthelobis-gashuqebis-sakhelmdzghvanelo-tsesebi (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია, ხელმისაწვდომია: https://matsne.gov.ge/ka/document/view/2334289?publication=0. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ქალები საქართველოში, თემატური მიმოხილვა, UN Georgia, ხელმისაწვდომია: https://georgia.unwomen.org/sites/default/files/Field%20Office%20Georgia/Attachments/Publications/2021/women%20with%20desabilities%20brief%20Geo.pdf. (ბოლო ნახვა: 09.09.2024)

შშმ ქალებისა და ბავშვების დემოგრაფიული მახასიათებლები. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალები და ბავშვები საქართველოში, (2021), გაეროს ბავშვთა ფონდი, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ხელმისაწვდომია: https://www.unicef.org/georgia/ka (ბოლო ნახვა: 09.09.2024)